

<https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.19>

**მცენარეული ლექსიკისა და
მათი წარმოშობის შესახებ
ლაზურში
ON THE VOCABULARY
OF PLANTS AND THEIR ORIGIN
IN LAZ DIALECT**

ციალა ნარაკიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო

Tsiala Narakidze

Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia

ABSTRACT

The paper discusses not only the names of plants that are not known to scientific literature but also the origin of some plants.

Laz people, similar to inhabitants in other parts of Georgia, utilized herbaceous plants for various purposes.

There is a distinction between wild and cultivated plants, and it is scientifically established that the ancestor of every cultivated plant is its wild species.

Cultivation and gradual improvement of plants were ongoing processes, and there was also a counter-process where cultivated plants could revert to a wild state.

Cultivation or wildness of plants is an extremely important process of special value for the history of agrobotany and natural science, as well as for the history of language and plant names.

Cultivation of plants not only provided variety, but it also found its reflection in language and created synonyms according to the differences.

Like other parts of Georgia, the vocabulary of plants of Laz dialect is characterized by an abundance of synonyms.

საკვანძო სიტყვები: ქართველური დიალექტური ლექსიკა, მცენარეული ლექსიკა ლაზურში.

Keywords: Kartvelian dialect vocabulary, vocabulary of plants in Laz Dialect.

ადამიანის არსებობის მთელ მანძილზე მცენარეთა სამყარო მისი განუყრელი თანამგზავრი და მთავარი საარსებო საშუალებათაგანია.

ადამიანი უხსოვარი დროიდან დიდ ყურადღებას აქცევდა მცენარეებს. იგი ბუნებასთან იყო უშუალოდ კავშირში და მისგან ნაბომებ მცენარეულ სიმდიდრეს იყენებდა საკვებად, სამკურნალოდ, სათბობად, სამშენებლოდ და სხვ.

ბალახეულ მცენარეებს, საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებლების მსგავსად, ლაზები მრავალმხრივი დანიშნულებისათვის იყენებდნენ.

განარჩევენ ველურ და კულტურულ მცენარეებს. მეცნიერულად დადგენილია, რომ ყოველი კულტურული მცენარის წინაპარია მისი ველური სახეობა.

ველურის აღმნიშვნელი ტერმინებია ლაზურში: მტკუი, მტკაში, პანტა.

მცენარის გაკულტურება და თანდათან გაუმჯობესება ყოველთვის ხდებოდა. ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო პროცესსაც – კულტურული მცენარე ველურდებოდა.

მცენარეთა გაკულტურება არა მარტო ნაირსახეობას იძლეოდა, არამედ იგი, როგორც პროფ. ნ. კეცხოველი მიუთითებს, ასახვას პოულობდა ენაშიც და სახესხვაობათა მიხედვით სინონიმს აჩენდა (კეცხოველი 1957: 285).

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ლაზურის მცენარეთა ლექსიკაში სინონიმთა სიუხვე გვხვდება. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს:

ავიანჩაირი, საზი – ჭილი.

ანწკლი, ინჭირი, ლივორა – ანწლი.

ბალახადი, ბალარწაღა, კატუ ნენა, მაჯღვიდია, ფუფული ფავრი, შქვითდამაი – მრავალმარღვა.

ბადითოკი, მსიჯი, მსუჯი – სურო.

ბარწული, ბარცხილი, ბამგარა, ბამგარი – ბამგი, დეკა.

ბუზიმჯა, მთუთი ლუყუ – დათვიმხალა.

ბურღი ნანა, მკიაფუ ბურღი, ლაპაზა – ბურა.

დანძორა, დიჭყიჯი, ონზორალე, ოფვარონი, ოჯვარინონი, ოჩხაპულე, ტუტუჯი, ჩხაპა – ჯინჭარი.

კარკალა, კოკოჭა, ორიწა, ჭურა – აყირო.

კაცხა, კაცხანაკი, ცანაკო, ცელი ანცერა – მოცვი.

კვარაკუნჩხა, კვარშილი, ლეტა საპონი, ღვაშილი – ქაცრა-ყოჩივარდა.

კეპრი, კეწი, ჭეპრი, ხუტუნი – კანაფი.

კუბური, მცხუკუბური, ცხილიკუმბრი, როკა – წყლის წიწმატი.

კუკუმბოლო, კუკუმოსკია, ჭურია – ძაღლნიორა.

კურუმი, პატი, ჭკიდი – ფეტვი.

მაიასილიშ ქუქუდა, მფვაზუ გიარი, სუმპარველი – წითელი სამყურა.

მთუთი ბუღი, კორცული, ჩახაჭი – დიყი.

მთუთი ტუფელი, პერი ბოია, პერი დადალი, პერო, წიწილა კამპარა, წიწილაბოია – ჭიაფერა.

მტკური ბურღი – ანჩხოლი – ანჩხლა.

- მტკუი გჳული, ცაცხელი – ასკილი.
 მტკური შუკა, დიდამჯუმორი, სტიპოპი – მჟაველა.
 მშანკო, მშარდი, ოტორონი – ხვართელა.
 მცხულკაკა ოჭაბულე, ჭაბუ – ფითრი.
 მჭითა ლუყუ, ჭარხალა, სოტოლია – ჭარხალი.
 მჭობა ჩაი, ხაჭოლონი ჩაი, ჭანგა – მწყერფეხა.
 მხალაღეში ოშიალონი, მხოლულე ჩაჩალა, ოშიალონი, ოშაშალიმონი, ოჩარჩალონი წიწილაში ოშიალონი – ტაბელა.
 დიხა მარქვალი, ბარაბურა, კუჭურიდი, ლეტა ორე – კარტოფილი.
 ნგენენა, ფუჯიშ ნენა – ირმის ენა.
 ნგოლა მულა, კორტურა მულა, ნგოლა დუცხუ – თამელი.
 ნცხანოვა, დაძი კანდღუ, დურღუნი, ზოდი, მაული, მუყი – მაყვალი.
 ორსულე, სუ, სულეი – სელი.
 პურწუმოლი, ლაკი დაძი – ეკალიჭი.
 სუმეყუჯა, სუმეყუჯაშ ტყა, ტოფური – სამყურა.
 ღაამსო, მელოჯა, მერგია – ოხრახუში.
 ცქირმუტური, ცქიმუტი, ცხიმუნტური, ცხიმუტი სქილიმუნტრი – ზღმარტლი.
 ხოჯი კოკაი, ხოჯი მოზაი, შაკაილე – ბურბუმელა.
 ჯოდორ ყურძენი, ჯოდორ ცანაკო – ძალყურძენა.
 ლაზეთში მსხლის, ტყემლის, ვაშლის, ყურძნის, ლედვის, წყავის, თხილის... მთელი რიგი ბოსტნეულისა და ველური მცენარეების ნაირსახეობები და ნაირსახელოდეები დასტურდება.
 ცნობილია, რომ ლაზეთში მსხლის 80-მდე სახეობაა გავრცელებული, 26-მდე – ტყემლის, 9-მდე – ვაშლის, 15-მდე – ყურძნის, 10-მდე – სოკოსი...
 ყველა ამ სახეობას თუ ჯიშს თავისი სახელი აქვს. შესაბამისად, ეს ამდიდრებს ლაზურის ლექსიკურ ფონდს. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს სიტყვათა წარმოების შესწავლისა და ეტიმოლოგიის დადგენისათვის.
 110 სახელოდეების მცენარეა ფიქსირებული ლაზურში, რომელთა უმეტესობა კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ გვხვდება ისეთი ლექსემებიც, რომლებიც ჩვენ მიერ პირველადაა ფიქსირებული. მაგალითად:
 ალიმორჯი – ენძელა.
 ანკრა – ურთხელი. შდრ.: გურ. ურთხმელა, ურთხველა; აჭარ. მადა, ურთხელა, სატილია; მეგრ. კრთხელი (მაცაშვილი 1961: 68).
 არმაშადიკა – ხორბლის სახეობა.
 აშურა – უკვდავა.
 აღული მტა – კონიო.
 ბარწკენია – შტოში.
 ბუდი – პატარძალა.
 დანდაგერი – ქრისტეს სისხლა. შდრ.: აჭარ. ქარცეცხლა, საყვითლო; მეგრ. ნაწიფი, ჯაში ხისხირი (მაცაშვილი 1961: 74).
 დიხაშ ყურძენი – ხებალახა.
 ელასვონი – ფურისულა შდრ. მეგრ. ჯოდორიში ნინა (იქვე: 70).

ვერწამი – ლერწამი, ლელი.

ზევიდი – ძეწა, მტირალა ტირიფი.

ისირიტა – ელუსამელა.

კარიანესი – წბილა.

კატუყურძენი – სვინტრი. შდრ.: მეგრ. მარიალე (მაყაშვილი 1961: 63).

კჩე ტიპი – თავთეთრა.

ლანგარია შუკა – კიტრა ნესვი.

ლეტა ბილონცა – გვიმრა.

ლეტაბინეხი – კატაბარდა. შდრ.: აჭარ., გურ. იბრილი; მეგრ. შხურიშიჭი, ჩიქვიში ჭი, წილუ; იმ. კატავენახა, ციცაბარდა (მაყაშვილი 1961: 38).

ლეტა კრომი – კლდისვაშლა. შდრ. მეგრ. ცენაშე (იქვე: 39).

ლეტა კუტრუბი – თავყვითელა.

ლეტა ყურძენი – ყაზახა შდრ., იმ. ჭრიჭინა, დათვინიორა; მეგრ. მარაკინტა, ტარაფუნა (მაყაშვილი 1961: 76).

ლეტა ჩაჩალა – ჩადუნა შდრ. ღორთიფქლა; გურ. ტყის გვიმრაი; სბ. დათვის საგებელა; მეგრ. ლავგიმორია, ლავუმარია, მაგვიმარია (იქვე: 82).

ლორესიმა – გვირილა შდრ. იმ. ირაგა, ანაგრულა; გურ. ქამენია, კამანია; მეგრ. ქამენია, ქამანია (იქვე: 21).

მადი – პიტნა. მზანა ბია.

მოლოკა – სამკურნალო ტუხტი.

მეორა დადალი – კორობელა,

მეორა ჩაჩალა – ღიღილო, ნარცეცხლა.

მულა – თელა.

მურღი – მარწყვი. მარწყვის ჭანურ სახელად ნიკო მარს კანდლუ აქვს აღნიშნული (მარი 1910: 152). მაგრამ ი. ყიფშიძეს ჭანეთში ყოფნის დროს დაუდასტურებია კანდლუ მაყვალაო, ხოლო მარწყვის ლაზურ სახელად ჩაწერილი მჭითა კანდლუ, ე.ი. მარწყვს წითელი მაყვალი სწოდებია. ჭანებს მარწყვის ორი ჯიშის სახელიც ჰქონიათ: ძოზიარე კანდლუ – მსხვილი მარწყვის აღსანიშნავად და მტკური კანდლუ ტყის მარწყვისათვის (ჯავახიშვილი 1934: 277).

ჩვენ მიერ ფიქსირებულია მტკაში კანდლუ და მტკორი კანდლუს საწინააღმდეგოდ ნიშნავს მაყვალს. ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ლაზებს მარწყვისა და მაყვალისათვის ერთი და იგივე სახელი კანდლუ ჰქონიათ, თუმცა ლაზები მაყვლის აღმნიშვნელად ხმარობენ ტერმინს მუყი.

აჭარიანის ცნობით, ბათუმში ჭანებს მარწყვის აღსანიშნავ ტერმინად მურღი დაუსახელებიათ, მარის სიტყვით კი, არც ათინურსა და ვიწურში, არც ხოფურში ეს ტერმინი არ დადასტურებულა (მარი 1910: 171). ჩვენ დავაფიქსირეთ ტერმინი მურღი მარწყვის მნიშვნელობით.

მღოწო – სურნელოვანი ზეთის ხე.

მჩხაკუა – ჟურჟრუკი შდრ.: გურ. ბოწოწო; აჭარ. ჟრიჭა; იმ. ბოწვა, ბოწოწია (მაყაშვილი 1961: 59).

მტკური კეპრი – ვარდკანაფა. შდრ.: ქვ. იმ. თითა, თავქუჩეჩა; გურ. კანაფურა; მეგრ. ჭითაქარიში წამალი (მაყაშვილი, 1961: 27).

მჭვარი – ჭვავი.

ნგოლა დუცხუ – თამელი. შდრ.: გურ., აჭარ. დათვი მსხალა; მეგრ. თუნთიმ სხული, შხერაჯი (იქვე: 30).

ნგოლა ლუ – დვალურა. შდრ.: აჭარ. დვალური; სბ. ანჯუბარი (მაყაშვილი 1961: 23).

ნგოლა ჩაი – ურცი. ნოსულე – წივანა.

ნოჯი – ფიჭვი შდრ.: იმ., აჭარ., კატარი (იქვე: 70).

ნუხუტი – მუხუდო.

ნცხენი ჭიბრი – ორქიდეა, ჯადვარი.

ორუბა კინა – უკადრისა. შდრ.: იმ. იყის ინა; გურ., აჭარ. ლელის ინა (მაყაშვილი 1961: 67).

პატი ტიპი – ღვარძლი. შდრ.: იმ. ბრუალა, ღვანძილა; სბ. ღუარძლი; მეგრ. ღვანძი (იქვე: 75).

პახლა – სოია.

პენჯგირი – ჩვეულებრივი სორგო.

პინჭო – მანანა, ერიკა.

პშიტილი – ნიუკა შდრ.: გურ. ღვინადვინა; აჭარ. გულგულაი; მეგრ. კურდღელაში ყუჯი, ღვინიღო ღუმუ (მაყაშვილი 1961: 55).

რედისი – სტაფილო.

რეკი – ჭადარი.

სამახი – თუთუბო შდრ.: აჭარ. თრიმლიმ (იქვე: 32).

საპუ – ხავსი შდრ.: მეგრ. ფუთქური (იქვე: 96).

სკენდალი – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეკენჩხალი.

სუხადია – კამა შდრ.: გურ. კლიავი; მეგრ. ცეროცო, ცოროცო, ძერო; იმ. ცერეცო (იქვე: 37).

ჯაფჩანჩხაუ – მსუქანა შდრ.: იმ., გურ. უკვდავა ფხალი, ძირწითელა; აჭარ. თაგვიყურა, თიკნიყურა; მეგრ. ჯინჭითა (იქვე: 52).

შორჭი – ცირცელი შდრ.: გურ. ჭნავი; აჭარ. მჭკნავი; მეგრ. ჩვახა, ამჩვაში (იქვე: 87).

წარმახი – ხარისძირა შდრ.: გურ. ბედისკვერცხაი; აჭარ. ხარიძირა, კრუხის ბუდე; მეგრ. ხარზენი, ხარძენი, ხეჩელა (მაყაშვილი 1961: 97).

წეწა – ხავსი, ლიქენი.

ხანგარი – ზამბახი.

ხატოტი – მათიტელა.

განიჩრევა ენდემური (ადგილობრივი) და ინტროდუქციული (შემოტანილი) მცენარეები.

ადგილობრივ მცენარეს ადგილობრივ ენაზე შერქმეული სახელი აქვს მაშინ, როდესაც შემოტანილს იმ ენის სახელი მოყვება, საიდანაც ის მოდის, ან ეს სახელი ითარგმნება ადგილობრივ ენაზე, ან კიდევ მიუთითებს მის წარმომავლობაზე (თოფურია 1979: 245). ადგილობრივი სახელია: ჭყონი, ცანაკო, ლიმხონა, კვარშილი, ჭუბუი და სხვ. შემოსულია სოტოლია, არდიჭი, კრომი, ტომატესი, პატატესი, ბრინჯი, შუკა...

არდუჭი – ფიჭვი. თურქულში გვხვდება ტერმინი arbiç, ქართულად ნიშნავს „ღვიას“. ერთი შეხედვით არდუჭი თურქულიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ არდუჭი ჩვენ მიერ „ფიჭვის“ მნიშვნელობით არის ფიქსირებული და არა მცენარე „ღვიას“ მნიშვნელობით, როგორც ეს თურქულში გვაქვს.

ბ[რ]ინჯი (შდრ.: მეგრ. ორზა, ორგაზა) ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ ბრინჯი IX საუკუნეშია შემოსული აღმოსავლეთ საქართველოში სპარსულიდან, ხოლო ორზა დასავლეთ საქართველოში სამეგრელოსა და ჭანეთში ბერძნულიდან (ჯავახიშვილი 1930: 359-361). მართლაც, ბრინჯის კულტურისათვის დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლში, ნიადაგისა და ჰავის უხვი ნოტიობის წყალობით მეტად ხელსაყრელი პირობები იყო.

ლაზეთში, გარდა ჩვეულებრივი ბრინჯისა, გავრცელებული ყოფილა მუქი ფერის გემრიელი ჯიშის ბრინჯი, რომელიც უწყლოდ მთაშიც ხარობს და მშრალ ადგილშიც იზრდება (მარი 1915: 616).

ლაზეთი / ლაუზტი – სიმინდი. შდრ.: მეგრ. ლაიტი. აკად. ს. ჯიქიას მტკიცებით, XVI საუკუნის მეორე ნახევარში ლაზეთში შემოიტანეს ამერიკული კულტურა, რომელიც ანატოლიაში და მთელ ლაზეთში ლაუზტის სახელით გავრცელდა, ლაზთა მცენარე დაარქვეს.

ლაზეთში გავრცელებულია სიმინდის შემდეგი ჯიშები: კალათალი, მუდღი, აზაზა, ჭეელა, შოდრა, ფოდრა, ჭინჭო და ფატმა წვრილმარცვლოვანი სიმინდია, რომლისგანაც ამზადებენ ბატი-ბუტს.

სიმინდის შემოტანამდე ლაზეთში გაბატონებული იყო მარცვლეული **დიკა** (ხორბალი). ჩვენ მიერ ფიქსირებულია ლაზეთში ხორბლის ორი სახეობა: **მოხა (მახა)** და **არმაშადიკა**. მეგრულში ტერმინი დიკა არ ჩანს. დიკა ხორბლის უძველესი ჯიშია საქართველოში. საბას განმარტებით, დიკა გაზაფხულის ხორბალი იყო (საბა 1938: 99). ლაზურში დიკა საერთოდ ხორბალს ნიშნავს, ხოლო ქართულში ხორბლის ერთ-ერთი სახეობაა.

შუკა / სუკა – კიტრი. ლაზური შუკა ბერძნული ტერმინიდან სიკვა / სიკვი მომდინარეობს, რომელიც კიტრისა და გოგრა კვახის აღსანიშნავად იხმარება ბერძნულში. პატარა, ქორფა კიტრს ლაზურში ხიპირი და ხიტპი ეწოდება. მართან ტერმინი კიტრი გვხვდება სხვა მნიშვნელობით – ერთგვარი კვახი (მარი 1910: 150).

მეგრულში კიტრი გვაქვს. ცხადია, ქართულ კიტრ-სა და მეგრულ კინტირ-ს შორის მჭიდრო ნათესაური კავშირი არსებობს. მეგრულში ნ ბგერა განვითარებულია. ივანე ჯავახიშვილს კიტრი და ლაზური ხიტპი ერთმანეთის მონათესავე სიტყვებად აქვს მიჩნეული (ჯავახიშვილი 1934: 254). სვანურში გვაქვს კინტრ / კინტერი, აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ყველა ქართველ ტომს კიტრისთვის საერთო სახელი ჰქონიათ.

ენდემურ მცენარეთა სახელწოდება ენის ძირითად ლექსიკას განეკუთვნება და შედარებითი ისტორიული ლექსიკონისათვის სანდო და აუცილებელ მასალას წარმოადგენს. მაგრამ გარდა ამისა, მცენარეთა სახელწოდების შესწავლა საინტერესოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ლაზეთშიც მცენარეთა რიგი სახელწოდება საფუძვლად უდევს ტოპონიმებს: **ინჭიონა** – ანწლნარი, **ჭუბუონა** – წაბლნარი, **თხიფუნა** – თხილნარი, **ლიმზონეფუნა** – გვიმნარი, **წიფურონი** – წიფლნარი, **ცხემულუდი** – ცხემლნარი...

ლაზურში გვაქვს ორიოდე შემთხვევა, სადაც მცენარეთა სახელები გამოყენებულია გვართა საწარმოებლად: კამპარაში, კაცხაში, ბაწაში.

მცენარეთა ფუძე გვხვდება სამი ფრინველის სახელში: **მაღულე** – მელელვია, **მაინჭიე** – ჭინჭრაქა, **მალაზუტე** – ტოროლა.

ამრიგად, ლაზურის მცენარეთა ლექსიკა სხვადასხვა კუთხითაა საინტერესო. გამოვლინდა, რომ ლაზურის მცენარეთა ლექსიკა სინონიმურ ფორმებსაც წარმოგვიდგენს. ეს, თავის მხრივ, ლაზურის ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალებაა და იმავდროულად, ისტორიულ-შედარებითი ლექსიკისათვისაც საჭირო მასალაა. ასევე, ნაშრომში განხილული ლექსიკური ერთეულები სიტყვათა წარმოების შესწავლისა და ეტიმოლოგიური დაკვირვების კუთხითაც სახასიათოა. გამოიკვეთა ისეთი ლექსემებიც, რომლებიც ჩვენ მიერაა პირველად ფიქსირებული და არ არის ასახული შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში. დავძენთ, რომ მასალა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი.

გამოყენებული ლიტერატურა

თოფურია 1979: თოფურია ვ., მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში. შრომები, ტ. III. თბილისი, 1979.

კეცხოველი 1957: კეცხოველი ნ., კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957.

მაყაშვილი 1961: მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 1961.

ორბელიანი 1938: ორბელიანი ს., ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1938.

ყიფშიძე 1994: ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1994.

ჩიქობავა 1938: ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938.

ჯავახიშვილი 1930-1934: ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, II. ტფილისი, 1930-1934.

Магазаник 1945: Магазаник Д., Турецко-русский словарь. Москва, 1945.

Маррь 1910: Маррь Н., Грамматика чанского (лазского) языка. С-П, 1910.

Маррь 1915: Маррь Н., яфетические названия деревьев и растений. С-П, 1915.

Bucaklışı 1999: Bucaklışı I., Lazuri-Tupkuli NeNAPIINA, I. Istanbul, 1999.